№ 14

1885—1890 წ.

კვირა 1 აპრილი

ТИФЛИССКОЙ ПУБЛИЧНОЙ БИБЛИОТЕКИ.

# თეატრი

## ქრისტე აღსდგა!

№ 14

1885—1890 წ.

კვირა 1 აპრილი

ქართული საკვირაო გაზეთ

„თეატრი"

ღირს ერთი წლით . . . . 5 მან.
„ ნახევარ წლით . . . 3 „
„ ცალკე ნომერი . . . „ „ 15 კ.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზედ . . . „ „ 20 „
უკანასკნელზედ . . . . . „ „ 10 „

თვითო სტრიქონის ადგილი.

ხელის მომწერლებს, გაზეთის გარდა დაურიგდებათ უფასოდ ექვსიდან თორმეტამდე ახალი წიგნი ანუ სურათი.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრის" კანტორაში, თავად-აზნაურთა ბანკის თეატრის ქვეშ, სასახლის ქუჩაზედ.

Контора Грузинской воскресной литературно-иллюстрированной газеты

„ТЕАТРЪ"

помѣщается на Дворцовой улицѣ, подъ театромъ Дворянскаго банка.

Плата за объявленія: на первой страницѣ 20 к., на послѣдней 10 к. за мѣсто строки петита.

Адресъ для иногородныхъ: Тифлисъ, Контора газеты „Театръ".

თბილისი, 26 მარტს.

უსწავლელობასა და გაუნათლებლობას ბევრი, მრიელ ცუდი შედეგი მოსდევს უკან, როგორც მოგეხსენებათ: გაუნათლებელ ადამიანს არც საკუთარი თვისი ჭეშმარიტი ინტერესები ესმის კარგად, როგორც რიგია, და არც სხვისი—თვისთა მოძმეთა და მოყვასთა. იგი სრული ყურ-მოჭრილი მონაა თვისი პირუტყული გაუხსნელი გრძნობისა და ჩვეულებისა და მას ემორჩილება ბრმად ყოველ შემთხვევაში—ჭკუა-გონების რჩევით იგი იშვიათად ხელ-მძღვანელობს ხოლმე თვის მოქმედებაში. თუმც კიდევ ესეთ გონების ჰატრონ ადამიანზე რაიმე არა-ჩვეულებრივი მიზეზი ჰმოქმედობს, როგორც მაგალითად გაბრაზიანება, გინდ სიმთვრალე, მაშინ იგი სრულიად ივიწყებს გონებას და ისეთ უწმინდურ და საზიზღარ რასმეს ჩაიდენს, მხეცსაც კი გადააჭარბებს ხოლმე: იგი ველარ არჩევს, სხვათა შორის, მტერს მოყვრისაგან, უცხოს თავისიანებიდგან და გულ-ცივად, შეუბრალებლად უსპობს სიცოცხლეს.

სწორეთ ამ გვარი მიზეზით უნდა იხსნას ერთი მეტის-მეტად სამწუხარო და სავალალო მოვლენა ჩვენი ეხლანდელი ცხოვრებისა.

ადამიანის შეუბრალებლად მოკვლა საზოგადოთ წინააღმდეგია თვით ბუნებისა, ღვთიური სჯულისა და კაცთაგან დადგენილი კანონისა, და ამიტომაც მაზედ უფრო საზიზღარი, მძიმე და შესაჩვენებელი დანაშაულობა აღარ მოიპოვება. მაგრამ ადამიანის მკვლელობა მაშინ კიდე უფრო ეწინააღმდეგება ბუნებას და არღვევს სიმართლეს, როცა მკვლელი ჰხსნებს ხელს და უსპობს სიცოცხლეს თვის ხორციელსა და სულიერ მახლობელ ნათესავს: მშობელს, ძმას, შვილს, ცოლს, ძმის-წულს, მეგობარს და მეზობელს. ამ გვარი მკვლელობა არა თუ განათლებულ ხალხთა ცხოვრებაში, არამედ იმ ადამიანთა შორის, რომლებიც მხეცურად სცხოვრობენ, და თვით ნამდვილ მხეცთა ცხოვრებაშიაც-კი იშვიათი მოვლენაა. მით უმეტეს სამწუხაროდ მიგვაჩნია ის საზიზღარი მოვლენა, რომელიც ამ უკანასკნელ დროს მეტის-მეტად გახშირდა ხოლმე ჩვენში.

თითქმის დღე არ გაივლის ისე, რომ არ გავიგონოთ და ან არ წაიკითხოთ გაზეთებში: მან თვისი მეზობელ-მეგობარი მოკლაო, მან საკუთარი ძმა, მან პატარა ძმის-წული, მან მამაო, ანუ მამამ შვილიო და სხვანი. რასა ვხედავთ ამას? ან რითი უნდა აიხსნას ეს იშვიათი და ბუნების წინააღმდეგი ადამიანის დანაშაულობა, თუ არა უსწავლელობით, გაუნათლებლობით, თვისი საკუთარი და მოყვასის ინტერესების უცოდინარობით და თანაც საზიზღარი ლოთობის ზე-გავლენით? ისე ქორწილი ვერ გადაგვიხდია, ყმაწვილი ვერ მოგვინათლავს, მკვდარი ვერ გაგვისვენებია და მეგობრებთან დრო ვერ გაგვიტარებია, რომ შემდეგ ხანჯალი არავის ჩავსცეთ და სიცოცხლე არავის მოუსპოთ! მერე, როგორ გგონიათ, ვინ სჩადის ამ საზიზღარსა და შემაძრწუნებელ საქმეს! — უმეტესად, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი უმაღლესი წოდების წარმომადგენელები— ჩვენი ახალგაზდა თავად-აზნაურები!

თუ უწინ ქართველ ვაჟკაცებს ხრმალი და სანჯალი მარტო მტრისთვის ეკიდათ, რათა ესახელებიათ თავი მამულისა, სარწმუნოებისა და ხალხოსნობის დაცვაში, ეხლა იგინი იარაღს საკუთარი თვისი ძმის მოსაკლავად ჰხმარობენ! ვაი ესეთ წამსდარ სიცოცხლეს, ვაი ჩვენ თავ-მოყვარეობას, ვაი ჩვენ შერცხვენას!—უამისოდაც ჩვენ ეხლა მრავალნი მრიელ ცუდი თვალით გვიყურებენ, აზიელ ველურებს გვეძახიან, ადამიანებად აღარც კი გვაგდებენ, და ჩვენ კი, მის ნაცვლად, რომ ყოველი ღონის-მიება ვიხმაროთ და დავანახოთ მტრებს, რომ ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც ფეხი გვდგმია და ეხლაც გვიდგია ორ ფეხიანთა და ორ ხელიანთა არსებათა კრებაში—კაცობრიობაში, ჩვენ, თითქო განგებ, ვსცდილობთ დაუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ზოგიერთა უნამუსო ვაჟბატონების აზრი ჩვენზე ნამდვილი ჭეშმარიტებაა.

სწორედ სული გიწუხს, გული გიკვდება და ცრემლები მოგსდის, როცა კარგად ჩაუფიქრდები და წარმოიდგენ ჩვენ ეხლანდელ წამხდარ ცხოვრებას, ჩვენ აწმყოსა და უნუგეშო მომავალს! ჩვენ პატარა, მაგრამ მხნე ხალხს უწინდელ დროში ურიცხვი გარეშე მტრები ესევოდნენ, ჰხოცდნენ და რიცხვს უმცირებდნენ. ეხლა კი, როცა ცოტაც არის მათგან მოვისვენეთ და იმედი უნდა გვქონოდა გამრავლებისა და გაძლიერებისა, თვითონ ჩვენ მივდგომილვართ და ერთმანერთს შეუბრალებლად ვკლავთ: აღარ

## ფელეტონი:

### აღდგომა.

მაღლა ცაზე მზე თამაშობს
და ქვეყანა ძირს იხარებს.
„ქრისტე აღსდგა!. „ჭეშმარიტად"!
ყველა ასე აღიარებს.

—

ილეიძებს და იმოსება
ას-ფერად დღეს ბუნება
თითქოს მითი „ქრისტე აღსდგას"
თვის შემოქმედს ეუბნება.

—

ყველა ხარობს... ლიტანიობს
უსულო და სულიერი.
„ქრისტე აღსდგა!—„ჭეშმარიტად"!
აღიარებს ჩვენი ერი.

—

იცის რომ ეს ნიშანია
მკვდრეთით კაცთა აღდგინების,
და მით თვისი აღდგომაცა
მომავალი, ელხინების.

—

„ქრისტე აღსდგა!.. გიხაროდეს,
ვისაც კი ეს გეყურება!..
„ჭეშმარიტად" აღსდგა და მით,
მოგვეანიჭა ჩვენც ცხოვრება.

აკაკი.

### სვიმონ მღვდელი.

(სააღდგომო ესკიზი)

შეწყდა ზარის ხმა მაღალ სუროთი შეფუთნულ სამრეკლოზე და გაისმა „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ". ყველასა უბორძგალა გული ამ გალობამ, ვინც კი იყო მოგროვილი ვ—ის პაწაწა ეკკლესიის ეზოში. დიდი და პატარა, კაცი და ქალი, მოხუცი და ყმაწვილი, მდიდარი და გლახაკი—ყველა ერთის გრძნობით გაიმსჭვალა. ყველას დაავიწყა ეხლა თავისი ხარისხი, დაავიწყდა თავისი ვინაობა; მოაგონდა მხოლოდ, რომ ქრისტიანია და სახე გაბრწყინვებული, წმინდა სანთლით ხელში და წმიდის გრძნობით გულში, უნდა მიეგებოს ამ შესანიშნავ დღეს, როცა „აღსდგა ქრისტე მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი დასაფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი"...

მსწრაფლად მოედვა ტკბილი გალობა აგრეთვე მთელს არე-მარეს, მოედვა გარშემო მთებს: მთებმა გადასცეს იგი ღრუბლებს, ღრუბლებმა ვარსკვლავებს და მთელი ცა და ქვეყანა სმენად გადაიქცა.

რაღაც სადღესასწაულო ფერი მიიღო მთელმა იმ სერმა, რომელზედაც ვ—ის ეკკლესიაა აშენებული. რაღაც უცნაური ძაფი გაიბა ამ სერსა და ზეცას შუა. ვ—ის ეკკლესიამ თითქოს შეუერთა დღეს მარხვითა და ლოცვით განწმენდილი მრევლი თავის მხსნელს. ცა თითქოს გაიხსნა და ანგელოზები თავს დასტრიალებენ ხალხს; მასთან ერთად გალობენ, მასთან ერთად უვლიან ეკკლესიას და თავიანთ ფრთებით იფარავენ გაქრობისაგან სანთლებს.

თვითონ ეკკლესიაში არავინ არ არის ეხლა. ყველა გარეთ არის და საერთო დღესასწაულში იღებს მონაწილეობას. მხოლოდ ერთ-ერთს საკურთხეველს ბნელ კუთხეში ზის მოხუცი სვიმონ მღვდელი, რომელსაც სიარული არ შეუძლია. საბრალო თუმც ისე მოხუცებულია, რომ თვალს საშინლათ აკლია და ყურშიდ-კი თითქმის სრულიად აღარ ესმის, მაინც ვერ გასძლო დღეს დღეს საყდარში წამოუსვლელი და წამოაყვანია თავი თავის შვილს იესე დიაკონს. მაგრამ რაა ამისთანა წამოსვლა, როცა უბედურს აქაურობის აღარა გაეგება-რა? დაუხუჭავს ისედაც უსინათლო თვალები და ფიქრებში გართულია.

ნეტა რაზედ ჰფიქრობს ეხლა სვიმონ მღვდელი?—იმაზედ, რაზედაც ჰფიქრობს ხოლმე ყოველი იმის ხნის კაცი, თავის წარსულზედ. იმას აგონდებიან თავის დიდი ხნის სიცოცხლიდამ წამები, როცა ასე თუ ისე ბედნიერი იყო. ამისთანა წამები ბევრი არ მოიძებნება სვიმონის წარსულში, მაგრამ იმითი აწმყოსთან შედარებით მაინც კმაყოფილია, როგორც ყოველი სიკვდილს მიახლოვებული კაცი.

აი გაიტაცეს სვიმონი ფიქრებმა და დაუყენეს თვალ-წინ ახალგაზდა, ცოცხალი მარჯვე დიაკონი. დიაკონს ცხრა გვერდი ეშმაკის აქვსო რომ იტყვიან სწორეთ იმაზედ იყო გამოჭრილი. მართლაც, რა ეშმაკი იყო სვიმონა დიაკონი რომ იცოდეთ, მაგრამ ცუდი ეშმაკი-კი არა. ის იყო ეშმაკივით მიმხდომი, ეშმაკივით გონიერი, ეშმაკივით მკვირცხლი, ეშმაკივით გამოჩალხული ყოველისფერში, მაგრამ ეშმაკივით ბოროტი-კი არა. რა უყოთ მერე, თუ ხანდისხან მოატყუებდა სვიმონა ნეოფიტე ბერს, თავის მასწავლებელს „ქამნ-დავითნის" კითხვის დროს? რა უყოთ მერე, თუ ხანდისხან სალაროს კლიტესაც მოჰპარავდა იმას და ჩუმად მის შენახულ ღვინოს, ან არაყს გადაჰკრავდა? რა უყოთ მერე თუ ხანდისხან ლოცვის მაგიერ კვირა საღამოს ქალიშვილებში ჩაერევოდა სვიმონა და ხუმრობასა და თამაშს დაიწყებდა? მაშ რა უნდა ექნა ახალგაზდა სვიმონას, თუ კი ცხონებული ნეოფიტე ძალიან სასტიკი მასწავლებელი იყო, ერთობ ხელ-მოჭერილი ეკონომოსი და მეტად შეუბრალებელი მოძღვარი?..

ერთხელ მთელი დღე მშიერი იყო სვიმონა, რადგან რომელიღაც გრძელი ლოცვა ვერ დაესწავლა იმ დღისთვის ზეპირად. „სანამ არ გეცოდინება, არაფერს გაჭმევამ, უთხრა ნეოფიტემ დილას, როცა ლოცვა ჰკითხა და სვიმონამ ვერ უთხრა. აგერ სამხრობამ მოატანა და სვიმონას ჯერ ნახევარიც არ ჰქონდა დასწავლილი. რაღა ეზეპირებოდა უბედურს, როცა კუჭი შიმშილით ეწოდა? ეხლა მთელი იმისი გონება იმაზედ იყო მიმართული, როგორმე საჭმელი ეშოვნა. რასაკვირველია, ამ დროს თუ მოახერხებდა, ქურდობასაც არ დაზოგავდა. პატარა ხანს უკან ერთი ბრმა გლახა ეწვია ნეოფიტეს. ნეოფიტემ მაშინვე შეიყვანა სახლში მათ.

ვარჩევთ არც მშობელს, არც ძმას, არც დას, არც ცოლს, არც შვილს, არც ძმის-წულს, არც ნათესავს, არც მეგობარს და არც მეზობელს! ამაზე მეტი უბედურება კიდევ შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა?!..

მიზეზი?—მიზეზი—თავი-და-თავი ის გახლავსთ, რაც ზემოთ მოგახსენეთ: უსწავლელობა, გაუნათლებლობა, გონების გაუხსნელობა და აქედგან წარმომდგარი, როგორც მისი შედეგი, ქვეყნისა და ხალხის საზოგადო ინტერესების არ ცოდნა, შეუგნებლობა, მარტო პირუტყულ სიცოცხლით ცხოვრება და სხვ.

დროა, დრო კარგა ჩაუკვირდეთ ამ სამწუხარო, ამ სავალალო მოვლენას, და თუმც ეხლანდელ წამოზრდილ თაობას აღარა ეშველება-რა, ჰატარებზე—მომავალ თაობაზე მაინც ვიფიქროთ, იმათ აღზრდა—სწავლაზე და განათებაზე მაინც ვიზრუნოთ, თუ არ გვინდა, რომ სრულიად მოისპოს ჩვენი ხსენება ქვეყნის პირზე.

## ახალი ამბავი.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ბატ. ილია ჭავჭავაძეს განუზრახავს, გადასცეს პირობით თვისი გამოცემა „ივერია“ ამხანაგობას, რომელსაც შეადგენენ ისინი, ვინც თვით ამ გაზეთის რედაქციაში მუშაობენ დღეს. ცხადია, ამით გაზეთის გაუმჯობესობას არა ეშველება-რა, თუ ამხანაგობამ ახალი თანამშრომლები არ მიიზიდა.

— „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება“ აპირებს წელსაც გამართოს ჩვეულებრივი ლოტარია-ალეგრი მუშტაიდში. ეჭვი არ არის ჩვენი საზოგადოება წელსაც ისეთივე შემწეობას აღმოუჩენს ამ კეთილ საქმეს, როგორც წარსულ წლებში.

— დაზარალებულ წინამძღვრიანთკარის სკოლის სასარგებლოდ მრავალი ადგილებიდგან მოდის ხოლმე შემოწირულება, მარტო „ივერიის“ რედაქციას მოსვლია დღემდის 1,137 მან. 41 კაპ. სწორეთ სასიხარულოდ უნდა მივაჩნდეს, რომ ჩვენმა ხალხმა ამ ბოლო დროს, ცოტაც არის, შაიგნო საზოგადო საჭიროება ქვეყნისა და ისე გულ-ცივად აღარ ეკიდება, როგორც უწინ.

— იმერეთიდგან გვწერენ, რომ ზოგიერთა ახალგაზრდა ყმაწვილები, რომლებიც უსაქმოდ დაეხეტებიან სოფელ-სოფელ, მოსვენებას არ აძლევენ ხალხსაო თვისი სხვა-და-სხვა გვარი ბოროტ-მოქმედებით. ესეთი თავზე ხელ-აღებულები უწინ მარტო მაღალ წოდების წრეში ჰსჩნდებოდნენო, იწერებიან, ეხლა-კი, თურმე, სამწუხაროდ ზოგიერთ ახალგაზრდა გლეხის შვილებსაც მიუბაძავთ მათთვის.

— გაზეთი „ივერია“ გვაცნობებს, რომ იუსტიციის მინისტრს მოუთხოვნია სასამართლო პალატისაგან საქმე ივ. იაგ. ზუბალოვისა.

— პროკურორი საქართველო იმერეთის სინოდალურ კანტორისა, ბ-ნი ანდრეევი დაითხოვა სამსახურს თავის თხოვნისა მებრ და იმის ადგილას დროებით დაჰნიშნეს სეკრეტარი იმავე კანტორისა ბ-ნი ჩიტაძე.

## აღარა ეშველება რა.

### I

მღივ-მღივობისას დაღამდა მეტად ცივი და ქარაშოტიანი თებერვლის დღეც. სრულიად დაფარული იყო შავი ღრუბლითა და ამის გამო სალამოზედვე საშინელმა სიბნელემ მოიცვა მთელი არემარე. ამასთანავე, აღმოსავლეთის სუსხიანი ქარი უფრო მეტად გაძლიერდა და ვახშმობის დროს უშველებელ ქარიშხლად გარდაიქცა. წამ-და-უწუმ საშინელის ძალით გრიალებდა და შემაძრწუნებელის ხმით გაჰკიოდა მთა და ბარში. ხვეტავდა ბანებზედ და ჩრდილებში დარჩენილ თოვლსა, გამძაგებით ატრიალებდა მას ჰაერში და ამ გაყინულ თოვლის ნამცეცებს საფანტივით აყრიდა სახლების კედლებსა და ფანჯრებს. ჰქონდა ერთი განუწყვეტელი ვაი-უშველებელი და წვა-და-დაგვა! ეს წყეული სალამო, კუდიანების ღამეს რომ იტყვიან, სწორეთ იმასა ჰგავდა. ამისთანა შემთხვევაში ქართველი კაცი ამბობს ხოლმე: ცასა და დედა-მიწას ისეთი ამბავი აქვთ, რომ მაღლიც კი არ გაიგდება კარზედაო... თვით ადამიანი ხომ, რაღა თქმა უნდა, უფრო მეტად მოერიდებოდა ამისთანა ამინდში გარეთ სიარულსა! მართლაც-და, ბევრიც რომ აქეთ-იქით გეცქირათ, ჭაჭანებასაც ვერავის ვერ დაინახავდით ქუჩებში, სადაც ბურთი და მოედანი ლაფებსა და ქარიშხალს დარჩენოდათ. შეშინებული ადამიანები თავ-თავიანთ სახლებში შემალულიყვნენ... ხელ-მოკლე სცოდავი კაცი, ცხადია, ვერც თავის უბადრუკ ქოხმახში გადურჩებოდა ამ ღამის საავგლახო განვლენასა; ამ ქვეყნის ბედნიერებზედ კი, რასაკვირველია, ამის თქმა არ შეიძლება. რას დაჰკლებს ამ გვარი ღამე, და გინდ ამაზედ უარესიც, შეძლების მქონე ადამიანსა: იმისთანა კაცს, რომელსაც რამდენიმე სუფთა და ლაზათიანად მოწყობილი ოთახები უდგია, დოვლათი ბანში ამოსდის და ჯიბე აბაზებით აქვს სავსე? შეიკეტავს ის კარებსა, ხმელი შეშით გამოამსებს ბუხარს და განცხრომით წამოწვება რბილ მუთაქებთან ტახტზედა. გამხიარულებული ბუხრის ლაპლაპი, მისი სასიამოვნო გუგუნი და მარდი ტკაცა-ტკუცი სრულიად დაჰფარავენ იმ ჯოჯოხეთურ საშინელებას, რომელსაც ატრიალებს სახლგარეთ გაცოფებული ბუნება. ამისთანა კაცს ბუნება დამორჩილებული ჰგავს, მისი ბატონი და ბრძანებულია!.. აჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ამ ჩვენს ცოდვილ დედამიწაზედ ყოველი ადამიანი ასეთი იყვეს, ამ ნაირათა სცხოვრობდეს!.. საუბედუროდ, კაცობრიობის და მასთან ჩვენი ხალხის უმრავლესობისათვის ამისთანა მდგომარეობა მხოლოდ საოცნებო, სანატრელი საგანია.

### II

საშინელის ძალით დაიგრიალა ხელახლად ქარიშხალმა და რისხვა-მუქარებით ჩაუარბინა დიდი ქუჩის სახლებსა და ეზოებს. მაგრამ, უცებ, წინანდასაც თვისივე მსგავსი ჰაერის გაცოფებული ნაკადული დახვდა. როგორათაც ორი, ერთმანეთზე გაბრაზებული, ლაშქარი დაუნდობლად ეტაკებიან ხოლმე ერთი მეორეს, ისე ესენი შეეჯახნენ ერთმანეთს, თვალის დახამხამებაზე ერთმანეთში აირივნენ და კარგა ხანს ბრიწიალით შეჰერდნენ ერთს ადგილას. შემდეგ პირი გვერდზე მიიბრუნეს და იქვე ახლო ვიწრო ქუჩაში გრიალი შეიტანეს. სწორედ ამ დროს ამ უკანასკნელი ქუჩიდამ ვიღამაც თავი გამოყო. უცებ დაეტაკა მას მოხსენებული ქარა-შოტი და ბუმბულივით გვერდზე მისაგდო. საზიზღარი ძლევა-მოსილებით გადუარა ზედა და წვა-და-დაგვით მიესია ახლა სხვა სახლებსა და ქუჩებს. ტალახში წაქცეული განესითა და წყევლა-კრულვით ნელ-ნელა წამოდგა ფეხზედა; გასვრილი კაბა და ხელები გაიწმინდა, მველი გახუნებული შალი გაისწორა და იყურა აქეთ-იქით ცქერა, თითქო ქმებს რასმეო. აგერ, გგონებ, რაღაც დაინახა! გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი წინა, აიღო წუმპეში ჩავარდნილი ჯოხი, ეს მესამე ფეხი ყოველის ჯან-გამოცლილის ადამიანისა, და ჩუმათ გამოვიდა დიდ ქუჩაზედ. იქვე, ახლო, კუნჭულის დუქანში, სანთელი ენთო; მისი სინათლე დუქნის მინებში გამოდიოდა და ქუჩის პატარა ნაწილს ანათებდა. როდესაც ამ სინათლეზე გამოვიდა ჩვენი სამ-ფეხა ადამიანი, გამოჩნდა მისი სახეცა. გამხდარი, გაყვითლებული და დალმეჭილი სახე, ღრმად ჩაცვივნული თვალები და მოკაკული წელი ცხადათ აჩვენებდნენ მის წლოვანებას; ხოლო მისი ძველი სიფრიფანა კაბა, უხეირო თავზედ მოსახვევი და ფეხ-საცმელები მჭევრმეტყველურად გვიხატავდნენ ამ უბედურის შეძლება-მდგომარეობას. ბებერმა აიარა საჩქაროზე დუქნის წინ და ჩქარის ნაბიჯით გასწია ზემოთკენა. გასაოცარი იყო მისი სიარული! სველს, ტალახიან მიწაზედ მალი-მალ ფეხი უცურდებოდა, წამ-და-უწუმ მთვრალი კაცივით ბარბაცობდა, ბევრგან წაიხოქებდა ხოლმე კიდეც, მაგრამ წაქცევით-კი ერთგანაც არ წაქცეულა. საჩქაროზედვე იმართებოდა წელში და ჩვეულებრივის ტორტმან-ბარბაცით მირბოდა ისევ წინა. უცებ ბებერი მიადგა ვეებერთელა წუნწუხის გუბესა, რომელიც ქუჩის ერთი ნაპირიდამ მეორემდისინ გადაჭიმულ იყო. ის ერთ წამს შესდგა, თვალი გადაავლო თავის წინ გადაშლილ ლაფსა და შემდეგ, მსწრაფლად, მიტრიალდა მარცხნივ. ამ გვერდზე, შიგ სახლების ძირში, ლაფის გაყოლებით, მოჩანდა ვიწრო, ცალ-გვერდზე დაქანებული ტალახიანი ბილიკა, რომელსაც მიაშურა ბებერმა. „ბებერო, მანდ ვერ გაივლი: წაიქცევი და თავით ფეხებამდისინ ცივ-შუშუან მორევში ამოიზუნზლები“! მაგრამ ბებერუცუნა ყურს არავის უგდებს! მარჯვენა ხელით დაებჯინა ჯოხსა, მარცხენა გვერდით გაეკრა სახლის კედელსა და წელანდებურის ტორტმანით გასწია ამ საშიშართო ბეწვის ხიდზედ. რამდენსამე წამს სრულიად უგზებოდ გაირბინა ისა და შემდეგ უფრო ჩქარის ნაბიჯით გაუდგა თავის გზასა. „უოხად, ბებერო, უოხად!“ მაგრამ ბებერს არა ესმის-რა! ის ისე გამტერებული, გარინდებული გარბის წინ, რომ გგონებ მის ყურთან გავარდნილ ზარბაზნის გრიალსაც ვერ გაიგონებს ამ ჟამად. ბებერმა გაიარა კიდევ ცოტა რამ მანძილი და ერთ ორ-სართულიან ქვითკირის სახლის წინ შეჩერდა. მარდათ აიარა თლილი ქვის კიბე და გაბედვით დააკაკუნა დიდი, თეთრად შეღებილი, კარები ამშარტავნულად გამოჭიმულის სახლისა.

### III

კარები მალე გაიღო. სუფთად გაწმენდილი და კარგათ განათებული დერეფნიდამ თბილი ჰაერი ეცა ჩვენს ბებერს. მის გაყინულ ძვალსა და რბილს სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. ამ გარემოებამ ის თითქო ღრმა ძილიდამ გამოიყვანა: თავი ცოტა წინ წაიღო და ვედრების ხმით მიმართა კარის გამღებ ახალგაზდა ბიჭსა:

— დედა-შვილობასა, აგრემც ღმერთი გაამლიერებს შენ სიყმესა, დოხტურთან შემიყვანე.

— არ იქნება, ბებერო,—მკაცრად უპასუხა მოსამსახურემ,—ჩემ ბატონს სტუმრები ჰყავს; ეხლა ქალაქდს თამაშობენ. წელან, როცა სხდებოდნენ, მიბძანა: არა-

---

ხოვარი და სამხარი მოუტანა. დაჯდნენ გლახა და მისი მხლებელი და შეექცნენ საჭმელს; ნეოფიტე გვერდით მოუჯდა და ამბების კითხვა დაუწყო, სვიმონა-კი თავზედ უნდა სდგომოდა სტუმრებს და ღვინო ესხა. საწყალი სვიმონა! ერთი ლუკმა ერთ რამეს ერჩია, მაგრამ ნეოფიტეს თავის სიტყვის შესრულება უყვარდა და შეიძლება ვახშამი-კი ექმია ამღამ, თორემ მანამდის არაფერს აჭმევდა სვიმონას, თუ ლოცვას ვერ დაისწავლიდა. აი გაათავა გლახის მხლებელმა ჭამა და გარეთ გავიდა; ნეოფიტეც იმას გაჰყვა და იქვე წინ-კარში მუსაიფი დაიწყეს. გლახა ისევ სჭამდა და სვიმონა თავზედ ადგა. აი ისიც გაათავებს ეხლავე და მთელი გომიჯი და ნახევარი მორჩება. სვიმონამ იცის, რომ ამ გომიჯებს ხვირჯინში უკრეპ თავს და გლახა თან წაიღებს, მაშინ როდესაც სვიმონას შია, საშინლად შია... ამ დროს უკანი კარიდამ კატა შამოვიდა და ზედ საძირკველზე დასკუპდა. სვიმონას სახე გაუბრწყინდა; ეტყობოდა, რომ რაღაც კარგი ფიქრი მოუვიდა თავში, „მიაუ“, დაიკნავლა კატამ და წამოვიდა სუფრისკენ. „ციც, ციც შე საბრაზე“! დაიყვირა სვიმონამ, დაავლო ნახევარ გომიჯს ხელი და გაავარდა უკანა კარში. კატას შეეშინდა და თვალის დახამხამებაში სადღაც გადიკარგა. სვიმონამ ჩაიდვა გომიჯი ჯიბეში და, ვითომც აქ არაფერი ამბავია, შამოვიდა სახლში. გლახა კიდეც ამდგარიყო. რა ამბავია? იკითხა ნეოფიტემ? კატამ გომიჯის ნატეხი მოიტაცა და იმას გამოვეკიდე, მიუგო სვიმონამ.—მერე შენ სად იყავი, რას უყურებდი? შენ არამზადა შენ!. წადი ეხლავე და ისწავლე ლოცვა, თორემ მე შენ დღეს?.. სვიმონასაც ეს უნდოდა; სიტყვაც აღარ დაუთავებინებია ისე წავიდა და შეექცა ძლივს ნაშოვნ გომიჯს... მოაგონდა სვიმონ მღვდელს ეს და მრავალი ამისთანი ეშმაკობა თავის ბავშობიდამ, თავის სიყმაწვილიდამ და თვალები ცრემლებით ევსება. საკვირველია, თითქოს უკანასკნელმა ჟამმა მოაწიაო, სვიმონი ყველაფერს იგონებს თავის ცოდვებს. „ვისაც რაც ცოდვა ჩაუდენია ამ სოფლად, როცა ქრისტეს წინ წარდგება მეორეთ მოსვლის დროს, ყველაფერი იმის ტანისამოსზე იქნება დახატული და დაწერილი, რომ ყველას შეეძლოს წაკითხვა“, უზრიალებენ ყურში სვიმონს ნეოფიტეს საყვარელი სიტყვები. „ნეტა სად არის ეხლა ნეოფიტე? ჰფიქრობს სვიმონი: «სამოთხეში იქნება, სამოთხეში სწორეთ. ოჰ ღმერთო, ყოვლად მოწყალეო შემინდევ ყოველი შეცოდებანი ნებსითნი და უნებლიეთნი».

მაგრამ აი ნეოფიტე გაჰქრა და იმისი ადგილი დაიკავა ჯერ ახალგაზდა ლამაზმა ქალიშვილმა, მერე პატიოსანმა ჭკვიანმა დედაკაცმა. ეს ქალი იყო სვიმონის საყვარელი ცოლი ვარდო; წინ წარმოუდგნენ იმისი მშვენიერი თვალები, რომელნიც მოკრიალებულ ცასა ჰგავდნენ, იმისი ნაზი სიყვარულით სავსე სახე...

ვარდო არ იყო ამ ქვეყნისთვის გაჩენილი, იმისი ადგილი ცაშიდ იყო ანგელოზებთან და მალეც მოშორდა იგი სვიმონს, ოჰ, რა პატივს სცემდა ვარდო სვიმონს. როგორ უყვარდა! მოაგონდა სვიმონს ვარდოსთან გატარებული ტკბილი დრო და საშინლათ უკვირს, ამდენი ხანი როგორ გაძლო უიმისოდ? ოჰ, რა ბედნიერნი იყვნენ სვიმონი და ვარდო, ნამეტურ სვიმონის მღვდლად კურთხევის პირველ ხნებში! პირველი ანაფორა სვიმონს ვარდომ შეუკერა. საუბედუროდ დიდხანს აღარ უცოცხლია ამის შემდეგ ვარდოს. ასე რომ მისგან შეკერილი ანაფორა ჯერ ისევ ახალი იყო, როცა მოკვდა. სვიმონმა მაშინვე გაიძრო ის ანაფორა და „წმიდა წმიდათასავით“ აქვს შენახული. ნათქვამი აქვს კიდეც შინ, რომ უსათუოდ იმ ანაფორაში უნდა დაიმარხოს. „პირველად ეს ანაფორა მეცვა და, უკანასკნელადაც ეს ჩამეცვაო“, ამბობს სვიმონი. იქნება მალე ერგოს სვიმონს იმისი ჩაცმა!.. ოჰ, რა ბედნიერი იქნება სვიმონი, როცა წარდგება იმ სოფლად თავის ვარდოს წინ მისგან შეკერილ ანაფორაში! „შენ მოკვდი, ვარდო, მაგრამ ჩემთვის მუდამ ცოცხალი იყავიო, ეტყვის სვიმონი ვარდოს; არც ტყუილს ეტყვის: ვარდო მართლაც რომ ყოველთვის ცოცხალი იყო სვიმონისთვის. ყოველთვის მისი მფარველი ანგელოზი იყო. როცა რამე საქმე შეხვდებოდა სვიმონს, ჯერ მოისაზრებდა, რა აზრის იქნებოდა იმაზედ, ვარდო, რომ ცოცხალი ყოფილიყო და ისე გააკეთებდა; ან სულ თავს დაანებებდა, თუ დარწმუნდებოდა, რომ ეს საქმე ვარდოს არ ესიამოვნებოდა. სვიმონს სწამდა, რომ ვარდო მუდამ იმასთან იყო და კარგს ურჩევდა, ცუდისგან იფარავდა...

გაერთო მოხუცი სვიმონ მღვდელი ამ ფიქრებში და არც-კი შეუტყვია, როგორ აივსო ხალხით საყდარი და დაიწყეს ცისკარი. მხოლოდ ერთხელ შემოესმა სვიმონს „ქრისტე აღსდგას“ გალობა და მაშინაც მხოლოდ ერთი კაცის ხმას მოჰკრა ყური. ეს ხმა იესე დიაკვნის ხმა იყო, რომელიც ყოველთვის ააკანკალებდა სვიმონს და მოაგონებდა თავის საყვარელს ვარდოს. ამის მიზეზი ის იყო, რომ პირველი იესეს ხმა და ვარდოს უკანასკნელი ერთ დროს მოხვდნენ. იესემ პირველად მაშინ იტირა, მაშინ ამოიღო ხმა, როდესაც ვარდომ უკანასკნელად ამოიკვნესა და სამუდამოდ დადუმდა. ვარდო თან გადაჰყვა თავის პირველს შვილს, რომელიც არც-კი უნახავს, რომლისთვისაც არც-კი მოუკიდნია ხელი, არ მიუალერსნია დედაშვილურად. მოაგონდა სვიმონს ეს წამი, როდესაც ერთის მხრით გაბედნიერდა, შვილი შეეძინა და მეორეს მხრით გაუბედურდა, საყვარელი ცოლი მოუკვდა. ოჰ, რა საშინელი წამი იყო ეს წამი,

ვინ არ შემოუშვა სახლში.

— შვილი მიკვდება, მშაო და შვილო, ოც-და-ათის წლის ვაჟკაცი! გამიშვი შენ ღმერთს ვენაცვალე! ტირილით უთხრა ბებერმა და შეუო თავი ცოტათი გამოღებულ კარებში.

— ხომ არ გაგიჟებულხარ, ბებერო! დაიყვირა ბიჭმა,—რომ მოიწევ, სად მოიწევ? ამ სიტყვებით სატოდავ ბებერს ხელი ჰკრა, უკან დასწია და საჩქაროზედ მოუკეტა კარები.

ბებერი მეხ-ნაკრავივით დარჩა! ერთ ადგილზედ კაი ხანს იყო გაშეშებული, მერმე, უცებ შეინძრა, სახე გაუცოხლდა და სიჩქარით ჩამოირბინა კიბე; გაიარა ცოტა რამ მანძილი და შესდგა დიდი ალაყაფის კარებ წინა. ფრთხილად შეაღო კარები. შევიდა ეზოში და აქეთ-იქით ცქერით მივიდა სახლის უკანა ბალკონთანა; ფეხ-აკრეფით ავიდა მაზე და ნელა-ნელა მიაწვა შუა კარებსა. კარები გაიღო და ჩვენი ბებერი, კარგათ დახელოვნებულ ქურდივით, ჩუმათ შეძვრა ოთახში, სადაც გძელი გაშლილი სტოლისა და სკამების მეტი სხვა არა სჩანდა-რა. ბებერმა განაბა სული და ყური დაუგდო. იქვე ახლო კარებიდამ შემოესმა რამდენისამე ადამიანის ლაპარაკი. საჩქაროზედ გაიძრო ფეხებიდამ თავის გათხუპნული პატინკები და პირდაპირ იმ კარებისაკენ გასწია; გაბედვით მიაწვა მას და უცებ მშვენივრად გაჩაღებულ, კარგა მოზდილ ოთახში კი ამოყო თავი. ლამაზი, პატარძალივით მორთული, ოთახი გამოეჭიმა მას წინ. ცის ფერ კედლებზედ ოქროს ვარაყიან არშიებს გაუდიოდათ ბზუვრიალი; ათას ფერად აჭრელებული იატაკი თვალსა სტაცებდა კაცს თავის კრიალითა. მარჯვნივ, კედლის ძირას, იდგა ხავერდ გადაკრული მართულიანი მდივანი; მის წინ იყო გაშლილი დიდი ლამაზი ხალიჩა, რომელზედაც რბილი კრესლოები და კაკლის რგვალი სტოლი მოდურ რიგზედ იყვნენ ჩამწკრივებულნი. მარცხნივ მოჩანდა ძვირფასი ხალით დაფენილი ტახტი და მასზედ მოხდენილად დაწყობილი ახალცინურად ნაკერი მუთაქები და ბალიშები. მაღლა ჭერზედ ეკიდა ხუთ-ქვს ლამპრიანი ხომლი, რომლის ნაზი, სასიამოვნო შუქი უხვად ეფინებოდა მთელს ოთახს. კარების გასწვრივ, კუნჭულში, პატარა კოშწია ბუხარი იყო გაჩაღებული: მხიარულად გაჰქონდა მას გუგუნი და აფრქვევდა თავის გარშემო სულის მომაბრუნებელ სითბო სინათლეს. ამ ბუხრის პირდაპირ, შუა ოთახში, ერთი-ერთმანეთზე ცოტა მოშორებით იდგა მწვანე მაუდიანი ორი სტოლი, რომელთაც გარშემო უსხდნენ რვა ადამიანი. მათში სამი იყო ქალი და დანარჩენი ხუთი იყვნენ ვაჟები. ყველა ამათ ხელში ეჭირათ სათამაშო ქაღალდები და, ისეთ ნაირად იყვნენ მის თამაშობაში გართულნი, რომ რამდენსამე ხანს ვერავინ მათგანმა ვერ შენიშნა ოთახში შემოსული ბებერი.

ნ. ლ—რი

(დასასრული შემდეგ)

1890 წ, მარტის 18-ს.

---

## რწმუნებანი და ლეგენდები კავკასიელ მთიულთა

(დასასრული *)

დაკლის შემდეგ გაიმართებოდა ნადიმი. ყველანი მხიარულობდნენ და ლხინობდნენ; მაგრამ აქ იმ ძროხის ხორცი სულ არ შეიჭმებოდა ამ ლხინზედ: ყოველ რიგიან მეოჯახეს და მეზობელს უნდა წაელო როგორმე მომეტებული ხორცი ამ ძროხისა, რომელიც განაწილებულ იქნებოდა ყველ ასთვის; ბავშვებსაც კი ჩაუდებდნენ პირში და დიდის სიფრთხილით ინახებოდა, როგორც საუკეთესო წამალი ყველა სენისთვის. მრავალ გვაროვანმა ბუნებამ, მშვენიერმა პოეტიურმა მდებარეობამ, თვით პირველ ყოფილმა მთიულების ცხოვრებამ შექმნეს მრავალ გვარი მითები. ქარის ზმუილს კლდის ნაპრალებში, ხმის მოცემას კლდიდგან, მჩქეფარე ღელეებს და ზვავების ხმაურობას, სულ ამას, მთიულის ფანტაზია სულ თავისებურად ხსნიდა, სუყველას ამას თავისი განპიროვნება ჰქონდა. უპუ— მშვენიერი ლამაზი ქალია, რომელიც გულ-ცივია და არავის სიყვარულისთვის არ თანაუგრძნია; ამიტომ იგი დასჯილია მით, რომ ყველას ყოველ (სიტყვაზედ) ძახილზედ უპასუხოს. ქარის ზმუილი—პატარა ბავშვების ტირილია, რომლებიც ან ძალით, ან დაუდევრობით მოუკლავთ.

ზვავის ხმაურობაც განპიროვნებულია. ზვავის ხმაურობა მაშინ მოისმის ხოლმე, როდესაც ჯინ-პადიშაჰ, მთის სული და უფსკრულის მფლობელი, რომელიც ჯაჭვებით არის მიკრული იალბუზის მთაზედ, დაანჯღრევს ბორკილებს.

როდესაც ყინულიან მთებზედ გაიდენს ტკაცანს, თითქოს თოფი გავარდაო, ანუ ჩაქუჩი დაჰკრეს გრდემლსო,—ყოველმა მთიულმა იცის, რომ ეს ღვთაებრივი მჭედელია ღმერთი საჭურველის და რკინისა—თლეფსი, რომელიც დიდი თქის ბრძანებით უფრო მაგრად აკრავს ჯინს. თლეფსის საფლავს, რაიცა ამტკიცებს მთიულების ღმერთების არა უკვდავობას, აჩვენებენ ახლაც, რომელიც მოფენილია ძველი საჭურველით და რკინის ნამტვრევებით: როცა ვინმე მთიული დაიჩხება სადმე საჭურველით, მაშინ ამის მორჩენას თლეფსს შეევედრებიან. მის მოსაგონებლად ავადმყოფის ახლოს სდებენ ჩაქუჩს, რომელიც ყველა მნახველმა სამჯერ უნდა დაჰკრას გრდემლს, თლეფსის ყურადღების მისაქცევად ავადმყოფზედ. ეს თლეფსი იმ ნაირი ოსტატი მჭედელია, რომ თავის ხელოსნობის წყალობით, ჩერქეზებს მოაკლო საუზერუქი—მოჯირითეებს და ცხენოსნების მფარველი... საუზერუქმა, როდესაც დააპირა შორის ქვეყნისკენ წასვლა, გამოაცხადა, რომ მაშინ დავბრუნდები უკან, როდესაც ჩემი ცხენის ნალი გაცვდება და მოეარდება ცხენს ფეხზედო, რომელსაც თლეფსი დააჭედსო. მას აქედ გაიარა დიდმა დრომ, მაგრამ საუზერუქი ჯერჯერობით არ სჩანს. ახლაც ელიან კიდევ მთიულები თავიანთ პატრონს.

—

ცვლების და სხვა მრავალი ავადმყოფობისაგან საუკეთესო წამლად შიდ-ტოტიანი ხის დანაყილი კუნძი ითვლებოდა. შიდ-ტოტიანი ხის კუნძი სოზერისის, წლიური მოსავლის და უხვობის ღმერთის, განპიროვნებაა. ახლაც ელიან ყაბარდოს ქალები ამ ღმერთის მოსვლას. ბევრგან დღესაც იხდიან მის დღესასწაულს ხან შემოდგომაზედ და ხან ზამთრობით. სოზერისის კუნძი წლიდამ წლამდე ინახება. მის დღესასწაულის დასაწყისში ახალს მოხჭრიან ხოლმე. კუნძის შვიდ ტოტზედ მიაკრავენ შვიდ წმინდა სანთელს, რომლებიც უმცროსმა პატარძალმა უნდა დაანთოს იმ სანთლით, რომელიც შარშანდელ დღესასწაულზედ ენთო კუნძზედ. ზოგიერთ ადგილას ტოტებზედ ჩამოჰკიდებენ ხაჭაპურებს, ქადებს და ყველის ნაჭრებს. მთელი ჯალაბობა ბელელში იკრის თავს, სადაც უკიდებენ სანთლებს; მას შემდეგ სახლის პატრონს მიაქვს ოთახში; ყველანი შემოეხვევიან გარს ხელ-ჩაკიდულნი და დიასახლისი იტყვის შემდეგ ლოცვას: „სოზერისო! გმადლობთ შარშანდელ მოსავლისათვის, კვლავაც ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას. დაიფარე ჩვენი ყანები სეტყვისაგან, სახლები—გაქურდვისაგან, ბელლები ცეცხლისაგან“. შესანიშნავია, რომ ყველანი ერთ-ხმად ამ ლოცვას სიტყვით „ამინ“ დაათავებენ. გაკვირვებული ქრისტიანების კითხვაზედ, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა, მოხუცნი მიუგებდნენ, „და იყოს ასე“, რაც აშკარად გვიჩვენებს ამ რელიგიოზურ წესის ქრისტიანულ შთამომავლობას. ბევრი სხვაც აქეთ მთიულებს იმისთანა დღესასწაულები და წესები, რომლებიც ნამდვილი ქრისტიანული არიან; განსაკუთრებით ღვთისმშობელი მთიულებში ფუტკრის მფარველად ითვლება შემდეგი გარდმოცემის ძალით: ერთხელ, გაზაფხულზედ საშინელი ყინვები დაიჭირა, ასე რომ, რაც-კი რამ ქვეყანაზედ ფუტკრები იყო, სულ ერთიან გაწყდა. გადარჩა მხოლოდ მარტო ერთად-ერთი ფუტკარი, რომელიც ღვთის-მშობლის სახელოში დაიმალა. წმინდა მარიამ შეებრალა ფუტკარი; გაათბო და გაუშვა და აი ამ ერთი ფუტკრიდამ მოშენდნენ სხვა ყველა დანარჩენები; მთიულები კი, ღვთის—მშობლობის წინ, მარხულობდნენ—მარიობის მარხვას, ამ დღესასწაულის მოსაგონებლად. დღესასწაულობენ აგრეთვე ხარებას და ყოველთვის 7 აპრილს. იმ დღეს, რა დღესაც „მარიამ“ დიდი თქის ანგელოზი გამოეცხადა „ისსის“ დაბადების გამოსაცხადებლად, ჩერქეზთ ახალგაზრდა ქალები გაზაფხულის უქმედ სთვლიან, რომელიც გატარებულ უნდა იქმნას ტყეში და მინდორში, ყვავილებ შორის. ამაღლებას სულიწმინდის მოფენის უქმესთან ურევენ და ამბობენ, რომ ქრისტეს მისაგებებლად სამოთხე შეიმოსა ყვავილებით, ამიტომ ამათ ჩვეულებად აქეთ ამ დღეს სახლის შემოსვა მწვანით და ყვავილებით. ჯვარი იმდენად პატივცემულია მთიულებში, რომ საკმარისია ვინმემ დასდოს ის ტყეში, ან მინდორში, რომ ეს ადგილი ხელ-შეუხებელი გახდეს. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა მაჰმადის სარწმუნოების სამღვდელოება ძალიანაც სცდილობდა ქრისტეს სარწმუნოების აღმოფხვრას, მაგრამ ქრისტეს სარწმუნოების რწმუნებები კიდევ დაცულია ხალხში. განათლებული ჩერქეზები თვითონ ამბობენ, რომ „ისსის“ სარწმუნოება შეუდარებლად მაღლად სდგას მაჰმადის რჯულზედაო, მაგრამ უკანასკნელი მით არის კარგიო, რომ მაჰმადი, არც ერთს „ისსის“ მცნებას არ უარ-ჰყოფს, ამსუბუქებს იმ ზოგიერთ ძნელ წესდებულებას, რომლის ატანაც კაცს გაუჭირდება თავის არსების სისუსტის გამო.

მრავალი მთიულ ტომთაგანი თქაშქოს შემდეგ თაყვანს სცემენ ელვისა და ქუხილის ღმერთს, შიბლეს, რომელსაც ილიას, წინასწარმეტყველი ილიას, ურევენ. თაყვანს სცემენ მას მეხისგან გახეთქილ ხის სახით; ხოლო ვინც კი მეხით მოკვდება—ბედნიერად, წმინდად ითვლება და ამისთანას ყოველთვის დიდის ამბით დამარხავენ ხოლმე. ამას, რომ ყველა კაცი ვერ ღირსდება ამ ნაირ „წმიდა“ სიკვდილს, მოწმობს შემდეგი გარდმოცემა: პატარა მწყემსი ალხაზა ბეჯითად მწყესავდა აბაძეხელების ტომის ჯოგს, სანამდის ტყეში არ შეხვდა მშვენიერ პსელუაშაქს, წყლის ნიმფას. ნიმფა ხშირად ამოდიოდა წყლიდამ თავის საყვარლის მეზითქის სანახავად. მწვანე—წვერა



---

როდესაც არ იცოდა სვიმონმა, რა ექნა, დამადლოდა ღმერთს, თუ ესაყვედურა, ეკინა, თუ ეტირა? მოაგონდა სვიმონს მაშინდელი მდგომარეობა, ერთი საშინლად ამოიოხრა და მიაბჯინა კედელს თავისი თოვლიივით გათეთრებული თავი. ცრემლები ლაპა-ლუპით მოსცვივიან იმის თვალებიდამ; მოგორავენ, როგორც მარგალიტები, ჯერ იმის დამჭკნარ ლოყებზე, თითქოს ღარებზე, მერე იმის თეთრ წვერზე, რომლის ბოლოშიაც გროვდებიან ერთად და წვეთ-წვეთა ეცემიან ძირს.

გარდა ამ წამის მოგონებისა სხვა მიზეზებიც ბევრი აქვს სვიმონს, რომ იტიროს და ტირის, ტირის.

რაკი სვიმონს ერთად ერთი სახსოვარი დარჩა მხოლოდ ვარდოსი, რომელიც ასე მოულოდნელად გამოესალმა, საშინლად შეუყვარდა თავისი იესე, თავისი ნუგეში. იესე იმისთვის შვილიც იყო და ვარდოს სახსოვარიც.

სვიმონიც მხოლოდ იესეში ხედავდა თავის სიცოცხლის საგანს; რომ იესე არ დარჩენოდა, ვარდოს სიკვდილს ვერ აიტანდა იგი. მართლაც სვიმონი სულ იესეზედ ჰფიქრობდა: „აი გაიზრდება ჩემი იესე, მოიყვანს ცოლს, შვილები ეყოლებიან; მე დავბერდები, სამსახურიდამ გამოვალ, ჩემ მაგიერ ეკურთხება იესე და, როცა მოვკვდები, მიწირავს ხოლმეო“, ოცნებობდა ხშირად სვიმონი. მართლაც გაიზარდა იესე, ცოლიც მოიყვანა, შვილებიც ეყოლენ; სვიმონი დაბერდა და იძულებული შეიქმნა სამსახურიდამ გამოსულიყო, მაგრამ... მის მაგიერ იესე როდი კურთხეულა მღვდლად,—იესე ისევ ისე დიაკონია და მღვდლად ვიღაცა სხვა აკურთხეს. რატომ? „იმიტომ რომ იესე უსწავლელიაო.“ უფრო-კი იმიტომ, რომ ბლაღოჩინი არ სწყალობდა სვიმონს, თორემ ცხლანდელი მღვდელი რა ნასწავლია? ნასწავლი-კი არ არის და უფრო მდიდარი კია იესეზედ, თუ-კი სიმდიდრე რამე საჭიროა მღვდლისთვის. ამასთან კიდეც ენათესავება ბლაღოჩინს... სვიმონს-კი რითი უნდა მოეგო ბლაღოჩინის გული, რომ არაფერი გააჩნდა? ისე-კი ბევრს ეცადა, ბევრი ირბინა თავ-ქუდ მოგლეჯილმა ხან იქით და ხან აქედ, რამოდენიმეჯერ მღვდელ მთავართანაც მივიდა სათხოვრად, მაგრამ არაფერი ეშველა. ალბად ყველანი სამღრთო წერილის სიტყვებით ხელ-მძღვანელობდნენ და ვისაც ჰქონდა, იმას აძლევდნენ, ასე რომ, რადგან იესეს არაფერი ჰქონდა, არც მღვდლობა მისცეს და უკურთხი დასტოვეს. მოაგონდა სვიმონს ეს გარემოება და ამ მოგონებამ კიდევ უფრო ჩაუშხამა ისედაც ჩაშხამებული გული, კიდევ უფრო შეუწუხა სული. ან-კი როგორ არ უნდა შეუწუხდეს სვიმონს სული, როდესაც იცის, რომ მის მაგიერ იესე აღარ იქნება მამა-პაპეულ საყდარში მღვდლად; როდესაც იცის, რომ მის ცხედარს აღარ წაუძღვება წინ იმისი შვილი შემოსილი, როგორც თვითონ მიუძღოდა მამას, მამა ბაბუას, ბაბუა პაპას?.. დიახ, უწუხს სვიმონს სული და სტირის, სტირის... მაგრამ აი ხელ-ახლავ მოვიდა იმასთან მისი ვარდო; ვარდო კი არა, ვარდოს სახით მშვენიერი ანგელოზი, გაბრწყინვებული, რომლის სახეზედაც რაღაც ციური მადლი იყო და არა ამ ქვეყნის მწუხარების ბეჭედი დასმული. მოვიდა ეს მშვენიერი მოჩვენება სვიმონთან და ეუბნება: „გეყოფა სვიმონ, გეყოფა ამ ქვეყანაში წვალება. დროა წახვიდე აქედამ და მოისვენო შენს ვარდოსთან, რომელიც მოუთმენლად მიგელის“... კიდევ უთხრა რაღაცები მოჩვენებამ, მაგრამ სვიმონს სიხარულის გამო მეტი აღარაფერი გაუგონია. „ვარდო მიელის სვიმონს, მისი ვარდო“!.. ოჰ რა ტკბილია ეს სიტყვები სვიმონისთვის, როგორ უბორძგალობს იმას გული!..

აი მოვიდნენ სვიმონთან სხვა ანგელოზებიც, მოვიდნენ ბევრნი, უთვალავნი და შემოეხვივნენ გარს. ოჰ, რა მშვენიერებია ისინი და რა ტკბილად გალობენ „ქრისტე აღსდგას“. გალობენ და იწვევენ სვიმონს თავისკენ. საკვირველია, სვიმონს აღარც თვალს აკლია ეხლა და აღარც ყურს; სვიმონი ჰხედავს ყველაფერს, სვიმონს ესმის ყველაფერი. ძალაც მოემატა სვიმონს: ის მარჯვედ სდგას თავის ფეხებზედ და მიჰყვება, მიჰყვება-კი არა, თითქოს ფრთები გამოესხაო, იმათთან ერთად მიფრინავს, მიფრინავს თავის ვარდოსთან...

წირვა თავდება; სვიმონი-კი ისევ ისე მიყრდნობილია კედელზედ, თვალები დაუხუჭავს, გრძელი თეთრი წვერი გულზედ გადაჰფენია და არ ინძრევა, თითქოს სძინავს და ტკბილს სიზმრებშია გართულიო... დიახ სძინავს სვიმონს, უკანასკნელად სძინავს!..

მზის ჩასვლის დროს მთელი ვ—ნი იმაზედ ლაპარაკობდა, თუ როგორ სასწაულებრივად გარდაიცვალა სვიმონი; ნაწირევს როგორ გამოეთხოვა ყველას, როგორ მიიღო წმიდა საიდუმლო, მერე როგორი დარიგება მისცა თავის შვილს: „რაც უნდა გაგიჭირდეს, ერთი შვილი მაინც გამოზარდეო“, უთხრა თურმე, „ასწავლე, ასწავლე ერთს მაინც, რომ ის მაინც ეკურთხოს მღვდლად და მე და შენ მოგვიხსენოსო; ნასწავლი თუ იქნება, მაშინ ვეღარაფერს დააკლებენ ბოროტი სულებიო“.

„აცხონოს ღმერთმა! ღირსი იყო და ღირსეულად მოკვდაო“, ამბობდნენ ზოგნი. „ადგომას ვინც მოკვდება, ყველა ცხონებულია, თორემ სვიმონი, რასაკვირველია, ცხონდებაო“, უმატებდნენ სხვები...

დუთუ მეგრელი

Доз. ценз. Тифлисъ 29-го Марта 1890 г.

კოდესი ძლიერ სძულდა და ეშინოდა ნიმფას, თუმცა მისი ფარული ძალა მას ყოველთვის ზღვისკენ იტაცებდა. ამის ასაცდენად პსელუაშაქი სცდილობდა როგორმე მეტი დრო მიწაზედ გაეტარებინა; აქ მწვანე ხეების ქვეშ მისი საყვარელი მეზითქი შეაქცევდა ნიმფას სალამურის დაკვრით. ალხაზამ მიიქცია ნიმფის ყურადღება. მისი შორიდ ტრფიალი და თაყვანის ცემა მოსწონდა მას. როდესაც მისი საყვარელი ღმერთი არ იქნებოდა ხოლმე მასთან, პსელუაშაქი ალხაზასთან ატარებდა დროს, რომელსაც თევზაობას ასწავლიდა და მოუთხრობდა თავიანთ ღმერთების ცხოვრება. ერთხელ, როდესაც ნამეტნავად შეჰყვნენ მუსაიფს, ალხაზას დაეკარგა ძროხა. მან მწუხარედ უამბო ნიმფას პირველივე ნახვაზედ. „ნუ თუ კიდევ ვინმეს ექნება ჩემ ნაირი მწარე ხვედრი, ამბობდა ალხაზაი, ჩემი სიცოცხლე უნდა ემწყემსავდე პირუტყვ ცხოველებს და პასუხს ვაგებდე შეუბრალებელ პატრონების წინაშე! —ნუ თუ შენ გგონია, რომ ჩვენ თავისუფალნი ვართ ჯავრისაგან და მუშაობისგან, ანუგეშებდა ნიმფა. მე, მაგალითად, ვალდებული ვარ პასუხი ვაგო მაზედ, რაც რამე მდინარეში მოხდება, გარდა ამისა მე და ჩემი ამხანაგი ნიმფები ვალდებული ვართ ვიმუშაოთ, როდესაც ღმერთების ნადიმობაა ხოლმე; მაშინ ყველას ერთად შეგვკრეფენ ღამე ტყეში, სადაც აქინის, შინაური საქონლის ღმერთის ბრძანებით, ემიშის ცხვრების მფარველის და ხან თვით მეზითქის, გარეული პირუტყვების ბრძანებელის, იკრიფებიან ყოველს მხრიდამ ძროხები, ცხენები ჯეირნები, გარეული ღორები და მგლები და ჩვენ ისინი უნდა მოვსწველოთ,—ეს კი ძნელი საქმეა. მხეცებმა, შენც კარგად იცი, ხანდახან რა გაბრაზება იციან.—„რა რიგად მინდა, რომ ვიცოდე, თქვენი ყრილობის ნახვა“. წამოიძახა მწყემსმა.—არ შეგიძლიან მითხრა, როდის იქმნება თქვენი კრება?—„სულ რომ არ ისურვებდე, უკეთესი იქმნება! შესაძლოა, რომ შენ ამით ძლიერ დაისაჯო, რადგან ღმერთებს არ უყვართ, რომ უბრალო მომაკვდავებმა უმზირონ მათ. მაგრამ ცნობის მოყვარეობით გატაცებული ალხაზა არ მოეშვა ნიმფას და ბოლოს და ბოლოს იმდენი ქნა, რომ ნიმფა დაითანხმა, რომელმაც უჩვენა ალხაზას ის ადგილი, სადაც კრება უნდა მომხდარიყო. აი, აქ მოდი და დაიმალე ამ მუხის ფუღუროში, სთქვა პსელუაშაქმა: შვიდ დღეს უკან, როდესაც მთვარე მიიწურება, ჩვენ აქ შევიკრიფებით სწორედ შუაღამეზედ. გაიარა ერთმა კვირამ და დანიშნულ ღამეს ალხაზა მალულად გამოიპარა თავის მამის სახლიდამ და მოკურცხლა ტყისკენ. ტყე მის სახლზედ კარგა მანძილზედ იყო. ღამე ბნელი, სულ შემხუთველი იყო. ცას შამოსწოლოდა შავი საზარელი ღრუბლები, რომლებშიც მხოლოდ ხანდახან გამოჩნდებოდა მთვარის პატარა კუთხე და ისევ უცბად დაიმალებოდა ხოლმე. ტყეში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ალხაზას გული ძალზედ უცემდა და არა ერთხელ მოუვიდა ფიქრად შინისკენ დაბრუნება, მაგრამ სიმაუყ აჩერებდა. კარგი, დაბრუნდებოდა, მაგრამ პსელუაშაქისთვის პირზე როგორღა შეეხედა? განა სასაცილოდ არ აიგდებდა? არა, რაც უნდა მოხდეს, მე მაინც ვნახავ ამ საუცხოვო ნიმფებს თავიანთი მწველელი პირუტყვებით,—და ჩქარის ნაბიჯით შევიდა დაბურულ ტყეში. არც ერთი ფოთოლი არ განძრეულა მის თავის ზემოდ, მხოლოდ შორიდგან მოისმა ქუხილი და ბუმ თავის საზარლის ხმით დაიკვნესა და ისე ახლოს გაუარა ალხაზას, რომ კინაღამ თავზედ ფრთები მოსდო. რა სულელი ფრინველია! იფიქრა, შემკრთალმა ალხაზამ. რა რიგად ჩამაშტერა თავისი ყვითელი თვალები. ეს რაღა არის? ნუ თუ ეს სუყველა ბუა? თითქოს პასუხად ალხაზას საზარელი მგლების ღმუვილი მოესმა და თავის წინ მწყემსმა დაინახა მრავალი გაბრიალებული მგლის თვალები; მგლები გამწკრივდნენ მის წინ და თითქოს ტყისკენ არ უშვებდნენ. მაგრამ, საკვირველი ის იყო, რომ რამდენს ბიჯსაც გადასდგამდა ალხაზა; მგლები იმდენი უკან იწევდნენ და თან საზარლის ხმით ღმუოდნენ, თითქოს რაღაც უბედურობას უწინასწარმეტყველებენო. ბოლოს, როგორც იყო, ალხაზამ მიაღწია დანიშნულ მუხას და ჩახტა მუხის ფუღუროში, მხეცები და ფრინველები თითქოს სადღაც გაჰქრენ, არემარე მიჩუმდა. დიდი ლოდინის შემდეგ ჩვენ პატარა ალხაზას ჩასთვლიმა. უეცრად რაღაც საუცხოვო ხმაურობამ გამოაღვიძა, ალხაზამ გამოიხედა თავის ადგილიდამ და დიდის გაკვირვებისაგან თითქოს იქვე გაქვავდაო. მარცხნივ და მარჯვნივ მოჰფრინავდნენ დანიშნულ ადგილს რაღაც საუცხოვო არსებანი: ზოგი საუცხოვო პირუტყვზედ, ზოგი უბრალო ხის ტოტზედ და ზოგი-კი მშვენიერ ეტლით. პსელუაშაქი მოჰფრინავდა ფრთიან ზუთხზედ; მისი და—ზღვის ნიმფა, მოოქროვებულ დელფინზედ. მათ შემდეგ გამოჩნდა თვით მწვანეწვერიანი მოხუცი უზარ-მაზარ ბაკანში, რომელშიაც შებმული იყო ასამდე ფრთიანი თევზი. ეს იყო ზღვის მფლობელი, კოდესი, თავისი ამალით, რომელიც მის ქვეშევრდომ ზღვის უფსკრულის სულებისგან შესდგებოდა. ამ დროს ალხაზას ჰაეროვან ცხენოსანი ფეხის ხმა მოესმა. აიხედა თუ არა ზევით, მან დაინახა, რომ ზეიკუთქმა გადაიარა ცეცხლის ცხენით მის მუხის ზევიდ. მეორე მხრიდგან ისმის საშინელი ლაწა-ლუწი, ხის შტოების და ფოთლების შრიალი; ვიღაც უნდა მოჰქროდეს ქვემოდ მძიმე მაჰვნებელზედ. ეს თვით მეზითქია უშველებელ ტახზედ. მის შემდეგ ნელის ნაბიჯით მოდიოდა თეთრი ხარი, რომელზედაც იწვა საქონლის მფარველი აქინი და სალამურზედ უკრავდა. ღმერთებს მწკრივად მოსდევდნენ კუდიანები, თვალთ-მაქცები და სულები და ყველანი მწკრივად დადგნენ. მათ ბრწყინვალე წრის იქით, ალხაზამ, სრულიად აცახცახებულმა შიშისაგან, დაინახა მრავალი გარეული პირუტყვი. მაგრამ მას ის უფრო უკვირდა, რომ ამ სიბნელეში ისე კარგად უმზერდა ყველაფერს, რომ სიბნელე თითქოს სრულიად არ ყოფილიყოს! მთელი არემარე რაღაც მოწითანო ნათელით იყო გაჩაღებული. უცბად მეზითქი თავის ოქროს ჯაგრიან ცხენით გავიდა შუა ალაგას, დაიქნია ხელი და ყველა ტყის სულებმა მის ხელის დაქნევაზედ დაჰკრეს ბუკი. მოისმა ყოველის მხრიდგან ფეხის ხმა და ბღავილი, მოცეკვენი ჯეირნები, თხები, ცხენები და ირმები, ტყეთა და მინდვრის გული ნიმფებმა დაუწყეს მათ ოქროს საწველ ქოთნებში წველა. ამ დროს ტყის მბრძანებელის თვალები მრისხანე გაკვირვებით დააშტერდნენ ალხაზას.

— ეს ვინღა არის? მრისხანედ წამოიძახა მან. შეხედეთ ამ შეუპოვარ მომაკვდავს! ეგ უნდა მოკვდეს! თქვა თუ არა ეს ღმერთმა, დაუმიზნა ისარი შიშისაგან გაცივებულ ალხაზას, მაგრამ ან დროს პსელუაშაქი გამოესარჩლა მას:

— დიდო მეზითქო! ნუ ინებებ მაგ საწყალი მწყემსის მოკვლას; მე მაგას კარგად ვიცნობ. უეჭველად გზა დაჰკარგვია, თორემ მაგას ფიქრადაც არ ჰქონია ჩვენი შეურაცხება. გარდა ამისა, შესაძლოა, რომ შენს მეგობარს აქინს მწყემსის მოკვლა ეწყინოს. გაიგონა თუ არა ეს ნიმფის შენიშვნა, აქინმა ზანტად წამოიწია თავის ხარზედ და გამოესარჩლა თავის მსახურს. — მაშინ მე იძულებული ვარ მაგას ისე მოვეპყრო, როგორც ყველა ამ ცნობის მოყვარე ადამიანებს, ჩვენს მუდამ შემაწუხებლებს. სთქვა მეზითქმა და აჩვენა მგლების კრება, რომლებმაც ამ დროს საზარლის ხმით მორთეს ღმუვილი.— ეგეც უნდა დავსაჯოთ უკვდავებით მგლის სხეულში და ყოველთვის ვალდებული უნდა იყოს დაესწროს ჩვენს კრებას.

— არა, არა! უარ-ჰყო აქინმა, გესმით?.. თვით დიდი შიბლე გვიახლოვდება. თვითონ შიბლე მოახდენს სამართალს. ამ დროს იმ ნაირი საშინელი ქუხილის გრიალი მოისმა, რომ თვით ღმერთებიც შეჰკრთნენ. ჩვენი ალხაზა ხომ შიშისაგან კინაღამ გაჰქრა და უფრო მოიკუნტა თავის ფუღუროში.

— მართალია, მართალი, დაემოწმენ აქინს სხვა ღმერთები; უფრო უკეთესი იქნება გავგზავნოთ შიბლესთან ქარის და გრიგალის სულების ამბის შესატყობად... თუ კი დიდი მეხის მბრძანებლის სურვილი იქნება, თვით ის ინებებს გაკადნიერებულის თავის ისრით დასჯას. ალხაზას არ დაუნახავს, როგორ გაფრინდნენ სულები შიბლესთან, მაგრამ საშინელის გრიგალის ხმა კი მოესმა... მთელმა ტყემ ლაწა-ლუწი მოიღო. ახლა-კი დავიღუპე მე საწყალი, იფიქრა ალხაზამ; რისთვის მოვდიოდი მე აქ სატანჯველად და დასაღუპავად! ამ დროს საშინელმა ელვამ და ქუხილმა გააბრუეს საცოდავი: მეხი დაეცა მუხას და მოედო ცეცხლი. ალხაზას გონება დაეკარგა. რასაკვირველია, რომ ჩვენი ალხაზა დაიწვოდა, თუ რომ შიბლეს არ გადაეწყვიტა, რომ პატარა მწყემსი არ იყო ღირსი მის ცეცხლიანი ისრით მოკვლას. მხოლოდ მის მიერ ნანახი ამბის გარდაცემის საშუალება მოუსპო. არც პსელუაშაქს დაევიწყებია ალხაზას შველა. მან უბრძანა მდინარეს ნაპირებიდგან ამოსულიყო და იმდენი წყლის ღვარი გადაასხა ხეს, რომ ცეცხლი მაშინვე გაჰქრა. ნიმფამ მოაბრუნა როგორც იყო ალხაზა, მაგრამ როდესაც ის გონზედ მოვიდა, აღმოჩნდა, რომ ჩვენი პატარა მწყემსი დამუნჯებულიყო. ამ ნაირად შესრულდა შიბლეს განჩინება. დიდხანს ინახავდნენ აბაძეხები გარუჯულ მუხის კუნძს,—როგორც წმ. ნაწილს და თან მოჰყვებოდნენ ხოლმე ალხაზას თავ-გადასავალს. როდესაც მათ ჰკითხავდნენ, თუ როგორ გაიგეს ეს ამბავი, რომ თვით ალხაზა სამუდამოდ მუნჯად დარჩა, ისინი მიუგებდნენ, რომ ეს ამბავი მათ ალხაზასგან კი არა—პსელუაშაქის დებისგან გაიგეს... მთიელთ უყვართ კაცის გაცნობა და ხანდახან დაცინვაც იციან, მაგრამ კაცის დროზედ დახმარებაც უყვართ.

ბად—ძე


უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება“ თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

**საზოგადოება უზღავს**

1, თანხას შვილებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინიცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2, თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3, თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შვილების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის სამზითვოდ.

4, პენსიას სიკვდილამდის, სამკვდროს და სხვ.

უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. გრუზენბერგი. ფოსტის და დეპეშის ადრესი: Грузенбергу Тифлисъ. 10—6.

**ქაღალდის საწყობი**

უმაღლესად დამტკიცებულის დიტიატკოვის ამხანაგობის ფაბრიკისა.

აქ არის საწერი, სტამბის, გაზეთის, ფოსტის და სხვა ყველა ნაირი ქაღალდი, თეთრი და ფერადი. აგრეთვე ყველა ნაირი სამწერლო კუთვნილებანი: დავთრები, საწერ-კალამი, მელანი და სხვა.

ფასი იაფად; როგორც ფაბრიკებშია.

Тифлисъ, Дворцовая ул., домъ Дворянскаго банка.

10—7

**„ექსიკატორი“**

სინოტივესა სპობს, იფარავს ხეს ლპობისაგან, იხმარება როგორც ზეთით შეზავებული საღებავი შენობისათვის და ხის მასალისათვის; ჰსწმენდს ჰაერს.

ვისაც გამოწერა სურს, მიჰმართოს შიო დავიდოვს, გაზეთ „თეატრის“ კანტორაში.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ივერია**

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგი ადრესით:

**Тифлисъ, редакцію газеты ИВЕРІЯ.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმეა გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არა დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულ სახლში, № 21.


Доз. ценз. Тифлисъ 29-го Марта 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ა. ჩხეიძე.